დამტკიცებულია

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და

აუდიტორთა ფედერაციის გამგეობის სხდომაზე

ოქმი N5, 2024 წლის 27 სექტემბერი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ფილიალების შესახებ

1.ზოგადი დებულებები

1.1. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის ფილიალი წარმოადგენს საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (შემდგომში ფედერაცია) განცალკევებულ ქვედანაყოფს, რომელიც იქმნება ფედერაციის მიზნების მისაღწევად.

1.2. ცალკეული ფილიალის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება გამგეობის მიერ.

1.3. ფილიალი თავის საქმიანობას წარმართავს ფედერაციის წესდებისა და ამ დებულების შესაბამისად.

1.4. ფილიალს არა აქვს ანგარიშსწორების ანგარიში და მისი სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს ფედერაციის საერთო საინფორმაციო სისტემის გამოყენებით.

2. მიზნები და ამოცანები

2.1. ფილიალის შექმნისა და საქმიანობის მიზანია ხელი შეუწყოს ფედერაციის მმართველ და ხელმძღვანელ ორგანოს, რეგიონში:

- ბუღალტრებისა და აუდიტორების ინტელექტუალური რესურსების გაერთიანებაში;
- ბუღალტრულ აღრიცხვასა და აუდიტში ქვეყანაში მოქმედი სტანდარტებისა და პრაქტიკის დანერგვაში;
- ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში სემინარებისა და ტრენინგების ორგანიზებასა და განხორციელებაში;

2.2. ფილიალი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

- ხელს უწყობს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ნორმების, სტანდარტებისა და პრაქტიკის დანერგვასა და განვითარებას საქართველოში მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სტანდარტების საფუძველზე;
- ნერგავს ბუღალტრებისა და აუდიტორების პროფესიული ეთიკის კოდექსს და მონიტორინგს უწევს მათ დაცვას;
- ზრუნავს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროფესიული დონის ასამაღლებლად მისი პოპულარიზაციისთვის; უზრუნველყოფს ფედერაციის წევრების მიერ მისი წევრობის კრიტერიუმების დაკმაყოფილებას, წევრებისთვის პროფესიის მარეგულირებელ კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას სხვადასხვა ფორმით, მათ შორის, კონფერენციებისა და სემინარების ჩატარების გზით;
- ახორციელებს ფედერაციის მიზნებიდან გამომდინარე კანონით ნებადართულ და აუკრძალავ ნებისმიერ საქმიანობას;

3. ფილიალის ქონება და მოგება

3.1.ფილიალის ქონება წარმოადგენს ფედერაციის ქონების განუყოფელ ნაწილს, რომელსაც ფილიალი იყენებს ფილიალის თვითდაფინანსებისათვის. იგი იქმნება:

- ფილიალის არეალიდან ფიზიკური პირების ფედერაციაში გაწევრიანებისა და ფედერაციის საწევრო შენატანებით;
- საწარმოების, ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების ნებაყოფლობითი შენატანებით;
- ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით გამოყოფილი ქონებით;
- ფილიალის მიერ ორგანიზებული ტრენინგებიდან და სხვა ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით.

3.2. ფილიალი ამ ფედერაციის მიზნის შესაბამისად ფლობს, სარგებლობს და ხელმძღვანელ ორგანოსთან შეთანხმებით განკარგავს მისი აქტივობით შექმნილ ქონებას და თავისი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებს.

3.3. ფილიალის საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება დაუშვებელია.

4. ფილიალის უფლება-მოვალეობანი

4.1. ფილიალი განიხილავს წევრობის კანდიდატების განცხადებების შესაბამისობას ფედერაციის **„წევრობასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და პროცედურების შესახებ“ დებულებასთან და** ინფორმაციას აწვდის ბაფის წევრებთან ურთიერთობის კომიტეტს,

4.2. ფილიალი ვალდებულია წევრების მიერ ფედერაციის წესდების, დებულებებისა და ეთიკური კოდექსის ნორმების შესაძლო დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში ინფორმაცია მიაწოდოს ფედერაციის ეთიკისა და დისციპლინარულ კომიტეტს, შემდგომი შესწავლისა და გადაწყვეტილების მისაღებად.

4.3. ფილიალი ვალდებულია:

- აწარმოოს ფილიალი წევრების აღრიცხვა;
- ფილიალის ხარჯები დაგეგმოს მოსალოდნელი შემოსავლების პროპორციულად, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ფილიალის თვითდაფინანსება;
- ხელფასებთან, შეძენასთან და მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოპერაცია შეათანხმოს ფედერაციის ხელმძღვანელ ორგანოსთან.

5. ფილიალების მართვა

5.1. ფილიალს მართავს ფილიალის დირექტორი, რომელიც ინიშნება ფედერაციის გამგეობის გადაწყვეტილებით.

5.2. ფილიალის დირექტორი:

- პასუხისმგებელია ფილიალის ქონების დაცულობასა და ფულად სახსრების მიზნობრივ ხარჯვაზე;
- განიხილავს და წყვეტს მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებს;
- ამზადებს წინადადებას ფილიალის თანამშრომლებისა და მათი სახელფასო განაკვეთების შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგენს ფედერაციის ხელმძღვანელ ორგანოს;
- ანგარიშვალდებულია ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოს წინაშე.

6. ფილიალების საქმიანობის შეწყვეტა

6.1. ფილიალის ლიკვიდაცია ხდება:

- ფედერაციის გამგეობის გადაწყვეტილებით;
- კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

6.2. ფილიალის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილ ქონებას განკარგავს ფედერაცია.